საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორაკა

გორაკა, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 840 მ, კასპიდან 15 კმ. 86 მცხ. (2002).

გ-ის თავში ნამოსახლარია, სადაც აღმოჩენილია ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის კერამიკა. უძველეს ხანაში ეს ადგილი ლეხურის ხეობის ცენტრი ყოფილა. შემდგომ მის მახლობლად გაჩენილა ხეობის ახ. ცენტრები – სხვილოს ციხე (განვითარებული შუა საუკ.) და ქვემო ჭალა.

ჯ. გვასალია